წერილის ნომერი: **04-01180303527**

თარიღი: **30.01.2018**

ადრესატი:
ირაკლი ბენდელიანი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია - მერის მოადგილე

ბატონო ირაკლი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობასთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ განთავსებული ინფორმაციისა და აქტივობების რეკლამიერების მიზნით, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 23 იანვრის N:1-21 ბრძანების საფუძველზე, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს ექსკლუზივით გამარტივებული შესყიდვის განხორციელება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის „საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება“-პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან (კოდი - 07 02 04) დანართით განსაზღვრულ მომსახურებაზე.

ასევე, გთხოვთ, დანართით წარმოდგენილი დავალების მიხედვით, დაავალოთ შესაბამის სამსახურს სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობასთან დაკავშირებით განთავსებული ინფორმაციისა და აქტივობების რეკლამირების (დასპონსორების) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელება შეათანხმოს სსიპ-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან.

დანართი 5 გვერდი

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის უფროსი

ვლადიმერი ჭიღლაძე